ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1/18

ქ. თბილისი 6 თებერვალი 2012 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, მდებარე ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12 (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორის ქეთევან ბოჭორიშვილი სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს „მბს", მდებარე ქ. თბილისი, ვირსალაძის №8 (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ანა ნებულიშვილის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ერთ პირთან მოლაპარაკებით მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 10 თებერვლამდე შემსყიდველს მიაწოდოს კომპიუტერული ტექნიკა, კერძოდ: 3 მონიტორი, 2 საოფისე კომპიუტერის პროცესორი, 2 საოფისე კომპიუტერის კვების ბლოკი,

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 30200000 (კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი). ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ს პრიმა ქვეპუნქტი

1.3. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-2 და მე-6 მუხლების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება – 2659.60 (ორი ათას ექვსას ორმოცდა ცხრამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარით, კერძოდ – 2 მონიტორი საერთო ღირებულებით 673.60 (ექვსას სამოცდაცამეტი ლარი და 60 თეთრი) ერთეულის ფასი 336.80 ლარი, 1 კომპიტერის მონიტორი LCD 18.5 PHILIPS – ღირებულებით 205 (ორას ხუთი) ლარი, 1 საოფისე კომპიუტერის პროცესორი intel CORE I3 LGA 1155 – ღირებულებით 928 (ცხრაას ოცდარვა ლარი) ლარი , 1 საოფისე კომპიუტერის პროცესორი intel E5700, CD. 3.0 – 600 ლარი, 1 კომპიტერის კვების ბლოკი TSK1576 – ღირებულებით 174 (ას სამოცდა თოთხმეტი ლარი) ლარი, 1 კომპიტერის კვების ბლოკი TSK1057 – ღირებულებით 79 (სამოცდა ცხრამეტი ლარი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

2.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

3. საქონლის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყივდელს უნაკლო საქონელი და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შესყიდული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება.

4.1. საქონლის მიწოდების პირობები: 2012 წლის 8 თებერვლამდე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღებას ახორციელებს საქართველოს ერონული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქონლის მიწოდების შემდეგ, საჭირო დოკუმენტაციის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში;

6.2. სახელმწიფოსთან ანგარიშსწორებას აწარმოებს მიმწოდებელი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი;.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. ჩაიბაროს საქონელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

7.2.2. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის საფასური.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების

პირობების დარღვევისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო

ხელშეკრულების ფასის 0.1% ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. თავის მხრივ ანგარიშსწორების ვადების დარღვევისას, შემსყიდველი ყოველ გადაცილებულ დღეზე უხდის მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხის 0.1%.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარის (მხარეთა) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების შედეგად.

9.2. ფორს-მაჟორულია გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არიან გამოწვეული მხარეთა განზრახ ან გაუფრთხილებელი, არასწორი მოქმედებების შედეგად) და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ლარის კურსის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებულ ევროს კურსთან შედარებით 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან გადასინჯონ მოწოდებული საქონელის რაოდენობა და ფასები, ამავდროულად ხელშეკრულების საერთო ფასი არ უნდა შეიცვალოს 10%-ზე მეტად.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 6 თებერვლიდან 2012 წლის 30 მარტამდე

11.2. ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად (1 ეგზემპლიარი სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, 1 – მიმწოდებელს).

12. დავის გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

12.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოს წესით.

12.3. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით/ზეპირ ფორმას.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული შემოწმება.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეტყობინება შეფერხების ფაქტის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ან ურთიერთშეთანხმების აქტის გზით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

15.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ თუ:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მატერიალური ან სხვა მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესების გამო საფრთხე ექმნება მისი მხრიდან ვალდებულების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი:	შპს „მბს“-ს დირექტორი:
_____	_____
/ქეთევან ბოჭორიშვილი/	/ანა ნებერიშვილი/
ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12	ქ. თბილისი, ვორსალაძის №8
ეროვნული ბანკი	ს/ს-ს „თიბისი ბანკი“ დიდუბის ფილიალი
ს/კ №204990082	ს/კ 203838277
ა/ა №200122900	ა/ა № 55თ 1888936020100005
კოდი 220101222	კოდი 220101836